საქართველოს კლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№89 (6315) ხუთშაბათი, 26 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

რაიონის მეაბრეშუმეთა გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს რაიონის მეაბრეშუმეებს სულ კვებაზე 10. 500 გრამი აბრეშუმის მური ჰყავდათ, საიდანაც უნდა მიეღოთ 26000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

მეაბრეშუმეთა დაძაბულმა შრომამ, დარგის სპეციალისტთა მონდომებამ კარგი შედეგი გამოიღო, რაიონის მეაბრეშუმეებმა უკვე შეასრულეს საგეგმო დავალება და მიმღებ პუნქტში დღეისათვის მიტანილია 20. 023 კილოგრამი პარკი.

საგეგმო დავალების შესრულებისათვის კარგად იშრომეს რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ გარდა ალპანის კოლმეურნეობისა და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა, სადაც აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს.

აბრეშუმის პარკის დამზადებას რაიონის მეაბრეშუმეები კვლავ აგრძელებენ.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის წინ

ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით

19 ივლისს დღის პირველ ნახევარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა რესპუბლიკის კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს. ეს უკვე მეოთხე შეხვედრაა პარტიულ აქტივთან სკკპ XXVIII ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ და საქართველოს კომუნისტთა ფორუმის მეორე ეტაპის წინ.

მოსკოვში გამართული ყრილობის შედეგები კვლავ შეფასდა, როგორც სუვერენულ კომპარტიათა კავშირად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რადიკალური გარდაქმნის გზაზე სერიოზული ისტორიული წინგადადგმული ნაბიჯი, მჭიდრო დიალექტიკურ ერთიანობაში რომ არის სსრ კავშირის პრეზიდენტის იდეასთან სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის, თითოეულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის დიფერენციული აგების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვაგვარ განვლილ ისტორიულ გზას, პოლიტიკურ ტრადიციებს, კულტურასა და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას.

თითოეულ კომპარტიას, მნიშვნელოვანწილად საქართველოს კომპარტიის პრინციპული და აქტიური პოზიციის წყალობით, ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებმა მისცა დამოუკიდებელი და თავისთავადი განვითარების მანდატი. ამ შეუქცევადი პროცესის გარანტად გვევლინება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, როგორც სათათბირო და მაკოორდინირებელი ორგანოს ფორმირების ახალი პრინციპიც, რომლის გადაწყვეტილებანი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ახლა საქმე ის არის, რომ თვით რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყრილობის დელეგატებმა გამოიჩინონ სიმტკიცე, სიდარბაისლე, პოლიტიკური სიბრძნე, უნარი, რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობით, მთელი საზოგადოებრიობის აზრზე დაყრდნობით გადაიტანონ პრაქტიკის სიბრტყეში მექმნილი ახალი შესაძლებლობანი, ხორცი შეასხან ისტორიულ შანსს და ისტორიულ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე. გამოითქვა აზრი, რომ კომპარტიის ყრილობამ სხვა საკითხებს შორის ზუსტად უნდა განსაზღვროს პოლიტბიუროში კომპარტიის წარმომადგენლის სტატუსი, სხვა პარტიებთან თვისებრივად ახალი ურთიერთობის დამყარების, ვეტოს უფლებისა და სხვა გადაწყვეტილებების გამოყენების მექანიზმი და პრინციპები.

ხაზგასმით აღინიშნა დიდი როლი, რომელიც ამ პროცესში უნდა შეასრულონ პირველადმა პარტორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა. ყრილობის მეორე ეტაპამდე დარჩენილი დრო უნდა გამოვიყენოთ საპროგრამო და ნორმატიული დოკუმენტების, საარჩევნო პლატფორმის პროექტებზე გულმოდგინე, კოლექტიური მუშაობისათვის, რომლებიც უნდა დავამტკიცოთ ყრილობაზე. საქმე ეხება არა პარტიულ ინტერესებს, არამედ საქართველოს მომავალს, მრავალი ათწლეულისათვის გზის არჩევას, და კომუნისტებს ნათლად უნდა ჰქონდეთ შეგნებული ეს, როცა ემზადებიან რესპუბლიკის ახალი პარლამენტის პირველი ნამდვილად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებისათვის. ხოლო არჩევითი მექანიზმის მოდელი, აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა, რომლის გამო ამომრჩევლები მოკლებული არიან გააზრებულ არჩევანს, კანდიდატთა პირადი თვისებების ცოდნას, საეჭვოა შეესაბამებოდეს ეროვნულ ინტერესებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნოდარ ჭითანავა, ალექსანდრე პავშენცევი, ბონდო ჯიქია, ნუგზარ საჯაია.

* * *

ამავე დღეს გივი გუმბარიძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დოკუმენტების მოსამზადებელი სარედაქციო კომისიის მორიგი სხდომა.

სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებმა გ. თალაკვაძემ და ნ. საჯაიამ კომისიის წევრებს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის საფუძვლების პროექტის განხილვა.

გამოქვეყნების მომენტიდან სულ შემოვიდა , მათ შორის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, 450-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება ამ დოკუმენტების პროექტების გამო. კომუნისტები და უპარტიოები გამოთქვამენ პრინციპული და სარედაქციო ხასიათის სერიოზულ კრიტიკულ შენიშვნებს, კონსტრუქციული სულისკვეთებით გეკიავაზობენ ახალ ფორმულირებებს, ებმებიან დისკუსიაში დოკუმენტების ფუძემდებელი იდეების არსის თაობაზე, რაც ასახავს დიდ დაინტერესებას მთლიანად ყრილობის მეორე ეტაპის წარმატებით.

კომისიის წევრებმა განიხილეს ყველაზე არსებითი შესწორებანი, მისცეს დავალება სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებს ახალი რეალობებისა და განხილვის შემდგომი მსვლელობის მიხედვით კომისიის მორიგ სხდომას წარუდგინონ შემოთავაზებულ ცვლილებათა სრული ნუსხა სარედაქციო კომისიის წევრთა აზრის გათვალისწინებით.

სხდომის შედეგები შეაჯამა გივი გუმბარიძემ.

ხუთწლედის მოწინავენი

ოჯახის დედა, მარჯვე და მშრომელი ქალი—ასე იცნობენ წიფერჩის კოლმეურნეობაში მერი ჩარკვიანს (სურათზე). სოფელ გვესოში გაზრდილ, შრომას შეჩვეულ ქალს არ გასჭირვებია სოფლის ოჯახის ტვირთი, შექმნა თუ არა ოჯახი, უმალ საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, ოჯახურ საქმეს შეუდგა. ახლა მერი და მისი მეუღლე რაფიელ ჩარკვიანი კოლმეურნეობის მოწინავე მოიჯარეები არიან, ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ თავის საკეთებელს, იჯარით გაპიროვნებული ზვარი და სიმინდის ყანა სანიმუშო მოვლილი აქვთ, კოლმეურნეობას თავისას აბარებენ და ოჯახიც ძლიერი და სავსე აქვთ. ხუთი შვილი, ოჯახის ხუთი სიხარული გაიზარდა და იზრდება ჩარკვიანების ამაღლებულ ჭერქვეშ. ორმა უკვე შექმნა ოჯახი, დანარჩენი სამი კი სკოლის მოსწავლეები არიან.

ასე რომ მერი ჩარკვიანი, ეს 5 შვილის დედა და ჯერჯერობით ერთი შვილიშვილის ბებია, ყოველთვის ნახულობს დროს, რომ აბრეშუმის მური გამოკვებოს, ასე იყო წელსაც და მოსავლითაც გაიხარა მშრომელმა ქალმა, იგი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მაშინ გადაიღო, როცა აბრეშუმის პარკის პირველი პარტია დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა.

ზ. გზობაშვილის ფოტო

კოლმეურნეობა თუ გლეხური მეურნეობა?

ჯერ კიდევ ბევრი გაურკვევლობაა

მიუხედავად იმისა, რომ 89 წელს უკვე გადავაბიჯე, მაინც მერჩის გული და მინდა ჩემი გარჯა და მკლავის ძალა სასიკეთო საქმეს მოვახმარო. საქართველოს ძლიერებისა და აღორძინებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი. სწორედ სოფელი იყო და არის საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ხერხემალი. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხი ახალია, იჯარას კი ვერ დავუკარგავთ იმ სარგებლობას, რაც სოფლის მშრომელებს მოგვიტანა. საუკეთესო მოვლილია სასიმინდე ყანები, ამინდმაც გაამართლა და სანთლით რომ ეძებოთ, მოუვლელობით ჩაყვითლებულ ყანას, როგორც გასულ წლებში იყო, ვერსად ნახავთ. საშრომი, იცოცხლე, გვაქვს. ჩემი საკარმიდამო მეურნეობა 0,5 ჰექტარს შეადგენს, მაქვს ვაზიც და სასიმინდე ყანაც, ამასთან მოსავლელად 0,25 ჰექტარი სასიმინდე და 0,25 ჰექტარი ზვარი იჯარით მაქვს აღებული.

ახლა, როცა გლეხურ მეურნეობაზეა ლაპარაკი, ჩვენ, სოფლის მშრომელებს ათასი საფიქრალი გაგვიჩნდა, რადგან ჯერჯერობით ყველაფერი გარკვეული არაა. ვიღაცამ უნდა არეგულიროს ჩვენი რესურსები და მოგვამარაგოს შხამქიმიკატებით, ტექნიკით, იფიქროს მთის სოფლის პრობლემებზე, მიწის მუშის მძიმე შრომის შემსუბუქებაზე. ვენახი კარგი მაქვს და სანამ მე ვიქნები, ისიც იქნება. მადარდებს ის, რომ ახალგაზრდები არ გვენაცვლებიან და ჩემს შემდეგ აღარც ჩემი ზვარი იქნება. აბა, წარმოიდგინეთ ჩემს ვენახს მარტო შესაწამლად 1,5 ტონა წყალი სჭირდება, რაზეც ძალზე გვიჭირს. შორიდან ვეზიდებით და ძნელია.

რაც შეეხება შხამქიმიკატებს, ადრე თვითონვე გვქონდა საკირე და კირსაც ვწვავდით, რასაც 20 კაპიკად ვიძენდით, ახლა კი, მაშინ, როცა გადაუდებელი საქმეა, ათობით კილომეტრზე უმდა წახვიდე, რომ კირი იყიდო. ამინდმა ჯერჯერობით გაგვიმართლა, მაგრამ ახლა სხვა სიძნელემ წამოყო თავი, შაბიამნის ძებნაში დღეები გაგვიცდა, კოლმეურნეობას 6 ტონა შაბიამანი მისცეს, მაგრამ რა ექნათ, რამდენისათვის უნდა გაენაწილებინათ? ესეც ხომ მოსაგვარებელია, ამაზეც უნდა ვიფიქროთ.

ახლა, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისას კიდევ არა ვართ გარკვეული საგადასახადო პირობებში, რაც ხელს გვიშლის გზის არჩევანში. თუკი ყოველ 1000 კვადრატულ მეტრზე საგადასახადო თანხა 13 მანეთი იქნება, ისე, როგორც ახლა საკარმიდამო მეურნეობაშია მიწის რენტის სახით, მაშინ თანახმა ვარ გადავიდე გლეხურ მეურნეობაზე.

ზოთა ნემსწვერიძე,
სოფ. ლეშკედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება „ლეჩხუმის“ წესდება

I. ზოგადი დებულებანი.

1. საზოგადოება „ლეჩხუმი“ თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე დამყარებული ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის და მოცემული წესდების საფუძველზე.

2. საზოგადოება თავის საქმიანობაში იზიდავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

3. საზოგადოება თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას ფართოდ თანამშრომლობს სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებთან.

4. საზოგადოება არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი საზოგადოების ემბლემით, შტამპი, ანგარიშები, მათ შორის სავალუტო, საბანკო დაწესებულებებში. საზოგადოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. საზოგადოების ძირითადი მიზანი და ამოცანები

5. საზოგადოების ძირითადი მიზანია ლეჩხუმის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ეთნო-კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური რეგიონის თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება.

6. დასახული მიზნის მიღწევისათვის საზოგადოება მონაწილეობს ლეჩხუმის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში; ხელს უწყობს ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღორძინებას, ღვინო-რაფიული და ეკოლოგიური ვითარების სტაბილიზაციას, ზრუნავს ისტორიული ძეგლების აღდგენა-მოვლისათვის, იღვწის საზოგადოებრივი თანაცხოვრების ზნეობრივი ნორმების დაცვისათვის, ლეჩხუმელების ეთნო-ფსიქოლოგიური ტრადიციების და ჩვევების შენარჩუნებისათვის.

საზოგადოება შეიმუშავებს წინადადებებს ლეჩხუმის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მიზანშეწონილი გამოყენებისათვის, ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს, კონსულტაციებს და დახმარებას უწევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, კოლექტივებს და ცალკეულ პირებს სამეურნეო საქმიანობის რაციონალურად წარმართვის მიზნით. დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის ეწევა კანონით ნებადართულ სხვა საქმიანობას თავისი წევრების, ან სელშეკრულებით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების ძალებით.

III. საზოგადოების მართვა და ორგანიზაციული წყობა

7. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში მის საქმიანობას წარმართავს ყრილობის მიერ არჩეული გამგეობა.

8. საზოგადოების ყრილობა იმართება ყოველწლიურად. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. ყრილობების მოწვევის შესახებ წევრებს ეცნობებათ არაუგვიანეს ერთი თვით ადრე. ყრილობებს იწვევს საზოგადოების გამგეობა.

9. საზოგადოების ყრილობა:

—ირჩევს გამგეობასა და სარევიზიო კომისიას, მათ თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს, იღებს საზოგადოების წესდებას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში ცვლილებები;

—ისმენს და ამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, განსაზღვრავს მათ მორიგ ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

—ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით ხმების უბრალო უმრავლესობით;

10. საზოგადოების გამგეობა:

—ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას ყრილობებს შორის პერიოდში;

—ადგენს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, ორგანიზაციას უწევს მათ შესრულებას;

—ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს, განაგებს საზოგადოების ქონებას;

—შეიმუშავებს და ამტკიცებს ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვებს და ამოწმებს მათ შესრულებას;

—თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

11. საზოგადოების თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე):

წარმართავს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს საზოგადოების საქმიანობის საკითხებს; არის საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენელი სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

12. საზოგადოების სარევიზიო კომისია:

ახორციელებს ფულადი სახსრების ხარჯვის და ქონების გამოყენების რევიზიას;

სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ გამგეობის წევრები, ისინი გამგეობის სხდომებს ესწრებიან სათათბირო ხმის უფლებით.

13. საზოგადოებაში შეიძლება შეიქმნას რეგიონალური ორგანიზაციები, საჭიროების შემთხვევაში მათ ეძლევათ იურიდიული პირის უფლება.

IV. საზოგადოების წევრები

14. საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული პიროვნება, მიუხედავად ეროვნებისა, სქესისა, რწმენისა, სოციალური მდგომარეობისა და რასისა, რომელიც აღიარებს წესდებას, მონაწილეობს მის საქმიანობაში, მატერიალურად ეხმარება მას. საზოგადოებაში შეიძლება გაერთიანდნენ აგრეთვე კოლექტიური წევრებიც.

15. საზოგადოების წევრი უფლებამოსილია:

მონაწილეობდეს ყრილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით;

აირჩიოს ან არჩეულ იქნეს საზოგადოების ყველა ორგანოში;

დააყენოს საზოგადოების ესა თუ ის საკითხი და მომონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში;

მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ინიციატივით და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;

თავისი სურვილით გავიდეს საზოგადოებიდან.

16. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

—მატერიალურად დაეხმაროს საზოგადოებას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში;

—აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საწესდებო მიზნების და ამოცანების განხორციელებაში.

V. საზოგადოების სახსრები და ქონება

17. საზოგადოების სახსრები და ქონება იქმნება:

—საზოგადოების წევრთა საწევრო შენატანებისაგან;

—ორგანიზაციების ან დაწესებულებების და კერძო პირთა შემოწირულობებისაგან;

—მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლებით;

—დადგენილი წესით შეძენილი ან გადმოცემული ქონებისაგან; საზოგადოების ფულადი სახსრები შეიძლება შეიქმნას როგორც მანეთებში, ასევე უცხოური ვალუტით.

საზოგადოების სახსრები და ქონება გამოიყენება საჭიროებისამებრ გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე. სახსრების და ქონების უშუალო განმკარგულებლები არიან საზოგადოების თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე.

VI. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება და სახსრები განაწილდება საოლიკვიდაციო კომისიის გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების წესდებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება არსებული წესის შესაბამისად.

რედაქციისაგან: საზოგადოება „ლეჩხუმის“ წესდება ქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის. დაინტერესებული პირებს ვთხოვთ თავიანთი წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებანი წესდების შესახებ გამოგზავნონ „რაიონული გზების“ რედაქციაში, რომელიც გადაეცემა საზოგადოება „ლეჩხუმის“ საინიციატივო კომისიას.

ჩვენი ვეტერანები ვარ

მე, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს, არა მრონია ჩვენს ქვეყანაში ქალაქად თუ სოფლად მცხოვრები ომის მონაწილის განსხვავება შეიძლებოდეს, სხვადასხვა პრივილეგია მივანიჭოთ.

სამწუხაროდ, ამ განსხვავებას ვხედავთ ომისშემდგომ ლებში. მაგალითად, ნებისმიერ ქალაქში არის სხვადასხვა შეღავათი პროდუქტებით, დეფიციტური საქონლით ვეტერანთა მომარაგებაში, რაღაც ჯილდოები, საჩუქრები, ყურადღება. ასე, მაგალითად, ქუთაისში გამარჯვების დღესასწაულზე ვეტერანები დაასაჩუქრეს, ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს. ასევე ქალაქ ცაგერში მცხოვრებ ომის ვეტერანებს დღესასწაულებზე ეძლევათ ხორცი, ყველი და სხვა პროდუქტები. ეტყვით იმასაც, გამარჯვებიდან 45 წელი ვიზეიმეთ წელს და ჩვენ, სოფლად მცხოვრებლებს, მსგავსი რამ არასოდეს განგვიცდია.

მერწმუნეთ, ჯერ ერთი, სულ პატარა ყურადღებაც კი გაგიხარდება ადამიანს, მით უმეტეს ჩვენს ასაკში, და მით უფრო რომ ამას ვიმსახურებთ. მეორე და მთავარი ის არის, რომ უბრალოდ შეურაცხყოფილი ვრჩებით. რომ აღარავის ვახსოვართ, ჩვენთვის არავის სცხელა.

იქნებ იფიქროს ამაზე ვინმემ. ბოლოს და ბოლოს სირცხვილია, რა ბევრიღა ჩვენ დაგვრჩენია.

ალექსანდრე ნემსწვერიძე.

სოფელი ტვიში

სიტყვა საქმიანი

ოყურეშისა და რაჩხის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელი პირუტყვის მოსაცდელს უფრო ჰგავს. ალბათ სოფლის ხელმძღვანელობაც გადაიწვიმებდა აქ, ამ მოსაცდელში, ან მზეს შეეფარებდა თავს. ნუთუ არაფერი ენიშნათ?

* * *

ქალაქის 40-ბინიანი სახლის წინ (ბაზრის წინ) გაუვალი გუბეები დგას, შედარებით მშრალ ადგილას ავტომანქანებს აყენებენ. მგზავრებს გუბეების გვერდის ავლა არ შეუძლიათ.

* * *

ცაგერი-თბილისის ავტობუსი დიდი სიკეთეა. ამაზე უკვე ითქვა და დაიწერა. ცაგრამ მგზავრთა გასაოცარად ერთი წინააღმდეგობაა-ამ ავტობუსით არ არის საშუალება ქუთაისამდე მგზავრობისა იმ მოტივით, რომ არსებობს ცაგერი-ქუთაისის მარშრუტის ავტობუსები. ჯერ ერთი, მთელი ორი კვირა უბენზინობით არ მოძრაობდა ცაგერი-ქუთაისის მარშრუტზე ავტობუსები, ასეთი შემთხვევები არც თუ იშვიათია. თუნდაც მოძრაობდეს, განა მგზავრს არა აქვს უფლება ქუთაისამდე (70 კილომეტრი) თუ კი არის საშუალება, რბილი მანქანით იმგზავროს? რაშია საქმე, ჩვენი, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების ანგარებითი პრეტენზიებია მთავარი, თუ მგზავრთა მომსახურება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგის ფრიბ უნა

საქართველოს სადარი დღეები უდგას—თავისი ღვთიოკურთხეული მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები.

თავის მაღალმხატვრულ ქმნილებებში აკაკიმ ყველა იმ პრობლემატურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, რაზედაც ქართველი კაცი ოდითგან ფიქრობდა, ისტორიის ავბედითობის პირობებშიც კი იბერიელთა მოდგმა უაღრესად დიდ როლს ანიჭებდა ახალგაზრდობის სწორ აღზრდას. რომ აბაფერი ვთქვათ ძველ ავტორებზე, სულმნათი პოეტის აკაკის პოემა „გამზრდელიც“ კმარა ქართველის პოზიციის წარმოსაჩენად აღზრდის როლისა და აღმზრდელის საპატიო და ერთობ საპასუხისმგებლო მისიის საკითხზე.

საფიცარ მამულზე ფიქრითა და ზრუნვით სულშეძრული აკაკი ბევრი ჩვენი უბედურების სათავეს სავსებით კანონზომიერად არასწორ აღზრდაში ეძიებდა და გულისტკივილით წერდა: „ღევანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისათვის ბოლო უნდა მოეღოსო“.

აღზრდა, აღმზრდელის როლი და პასუხისმგებლობა—აი, აკაკის პოემა „გამზრდელის“ ერთ-ერთი ძირითადი თემა.

ცოტა გვეგულება პოეტური ნაწარმოები, სადაც ერთ სურათში სულ რამდენიმე ათეულ სტროფონში ასე იყოს გამოხატული ადამიანის ბუნება, ადამიანის მარადიული გრძნობანი—სიყვარული, მეგობრობა, სულის დიდბუნებოვნება, ღალატი, სიბრძნე, აღმზრდელის უდიდესი პასუხისმგებლობა აღზრდილისა და საზოგადოების წინაშე.

ჩემი პედაგოგიური მუშაობის გაცოცდილებიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით მოელიან „გამზრდელის“ შესწავლას, დიდ ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებთ პოემის პერსონაჟებთან შეხვედრა.

ვახასიათებთ რა „გამზრდელის“ დაუვიწყარ, ურთიერთდაპირისპირებულ პერსონაჟებს,—ერთი მხრივ. სიკეთისა და ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების განსახიერებას ბათუს და მის სათაყვანებელ მეუღლეს ნაზიბროლას, ხოლო, მეორე მხრივ. სულმდაბლობისა და პატიმოყვარეობის პირმშოთ—საფარ-ბეგს და ზია-ხანუმს, მოსწავლეებს წინადადებას ვაძლევ, მიპასუხონ, რა მიზნით ხატავს აკაკი ბრძენი აღმზრდელის ჰაჯი-უსუბის სახეს პოემაში?

ტექსტზე სათანადო აქცენტირებით მუშაობის შემდეგ ბუნებრივია მათი პასუხი, რომ ამით ავტორმა წინა პლანზე წამოსწია აღმზრდელის როლი და პასუხისმგებლობა აღსაზრდელის წინაშე. აღმზრდელმა პასუხი უნდა აგოს თავისი აღზრდილის ქცევისა და მოქმედებისათვის. ამიტომ ის საფარ-ბეგს ეუბნება: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“. აქ ბავშვებს მოვაგონებ მათთვის კარგად ცნობილ ეპიზოდს: თვალცრემლიანი მომაკვდავი მგოსანი კიდევ ერთხელ კმაყოფილებით შენიშნავს ამ ადგილის შესახებ „ეს მართლა კარგად დამიწერიაო“.

ყოველთვის მაინტერესებს, რა მიაჩნიათ მოსწავლეებს იმის მიზეზად, რომ ბრძენი უსუბის მიერ აღზრდილი საფარ-ბეგი ასეთ უარყოფით პიროვნებად ჩამოყალიბდა.

—საფარ-ბეგი ფუქსავატ ტოლმეგობართა გარემოცვაში გაიზარდა. აკაკი დასძენს—„მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა?“ — მსჯელობენ მეათეკლასელები.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სკოლასთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და ეკისრება ოჯახს, საზოგადოებას. განა ჩვენს სინამდვილეშიც არ ხედავენ და არ რწმუნდებიან მოზარდები, რომ თავიანთი სწავლით, კულტურით უმეტესად გამოირჩევიან ისინი, ვისაც შესაფერისი ოჯახური გარემო აქვთ?!

ახალგაზრდა ქართველი, მოსწავლეთა აზრით, უნდა იყოს ისეთი, როგორადაც ზრდის მას სკოლა, ოჯახი, საზოგადოება—სამშობლოს პატრიოტი, ზნეკეთილი, სწავლისა და შრომისმოყვარე. ასე ესმის აღსაზრდელის მოვალეობა და აღმზრდელის პასუხისმგებლობა აკაკის.

გაკვეთილი, განსაკუთრებით ახლა, უნდა სუნთქავდეს იმ ნიშატით, რომ ჩვენი სამშობლოს დღევანდელობა, როგორც არასდროს, მოითხოვს პედაგოგის პასუხისმგებლობის ამაღლებას სცენ ყველაფერი, რაც აწუხებთ ან დღევანდელმა გაკვეთილმა შთააგონა. ანონიმურობის სრული დაცვისათვის ყველას ნამუშევარს, ხელმოწერის გარეშე, წაიკითხავს რომელიმე მოსწავლე.

მოსწავლეები უეჭველად გამოხატავენ თავიანთ აზრს, პოზიციას, პრეტენზიებსაც მასწავლებელთა და აღზრდის სისტემის მიმართაც, გამოთქვამენ ბევრ შემთხვევაში ანგარიშგასაწევს, დამაფიქრებელს...

ნამდვილი ლიტერატურის მიზანიც ხომ ესაა—თაობები დამოძღვროს, ადამიანს საკუთარი ცხოვრების გზა კრიტიკულად შეაფასებინოს, შთააგონოს მეტი პასუხისმგებლობა მოყვასის, ქვეყნის წინაშე.

გავამთლიანებთ რა გამოტანილ დასკვნებს აღზრდისა და აღმზრდელის შესახებ, პოემის ძირითად იდეას მოსწავლეები ჩემი დახმარებით ასე აყალიბებენ:

„გამზრდელი“ მოწოდებაა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფისაკენ. ეს პოემა შთაგონებულია იმ დიდი იდეით, რომ გონიერი და ბრძენი გამზრდელი თავისი მოღვაწეობის შედეგს ისე უნდა აფასებდეს, როგორც საკუთარ სიცოცხლეს, მასწავლებლის ამოცანაა ამ იდეის შეგნებულად დაყვანა მოსწავლეებამდე.

ასე ესმოდა აკაკი წერეთელს აღზრდისა და აღმზრდელის როლი, ასე ასწავლიდა იგი ჩვენს მამა-პაპათ, დღეს ჩვენ გვაკვალიანებს და ასევე პირნათელი იქნება დიდი პოეტი თავისი იდეებით ბორკილდამსხვრეული ამირანის—მომავალი თავისუფალი საქართველოს შვილების წინაშე.

მზია ბურჯალიანი.

ორბელის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

აკაკი გვზრდიდა, აკაკი გვზრდის

კიდევ ერთი წმინდა სანთელი

მკითხველს შევახსენებთ ჩვენი თანაქალაქელი პოეტის ლილი ნუცუბიძის წერილს, რომელიც ერთი თვის წინათ დაბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“. იგი აღნიშნავდა:

„მამუკა ასლანიკაშვილის გარდაცვალებისთანავე ჩვენს ქალაქში ხელნაწერის სახით გავრცელდა ლექსი. რატომღაც საზოგადოებამ მის ავტორად მე მიმიჩნია და ბევრმა მირჩია, კარგი იქნება, თუ ეს ლექსი გამოქვეყნდებაო.

მეც ასე ვფიქრობ, თუმცა, ისევ ვიმეორებ, ავტორი მე არ გახლავართ.

დღეს, როცა დადგა ჟამი, ხმამაღლა ითქვას ადრე წასული კაცის, უდანაშაულო მსხვერპლის მამუკა ასლანიკაშვილის სულის კეთილად მოსახსენებელი სიტყვა, სწორედ ამიტომ მოვიძიე ეს ლექსი და მისი ავტორი ქალბატონი ნაზი მამარდაშვილი, პროფესიით პედაგოგი, ამჟამად ნორჩ ტურისტთა საქალაქო სადგურის მეთოდისტი. ვინაიდან იგი ქალაქში არ იმყოფება, ექსპედიციაშია, თავს უფლებას ვაძლევ, რომ ავტორთან შეუთანხმებლად ვურჩიო გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციას მისი დაბეჭდვა.

დაე, ეს ნაწარმოები ანთებულ სანთლად შეემატოს იმ ნაგვიანებ ყვავილებს, რომლებიც ქუთაისის საზოგადოებამ მამუკა ასლანიკაშვილის საფლავზე მიიტანა“.

რედაქციამ ავტორის დაუკითხავად არ დაბეჭდა ეს ლექსი და მას დღეს გთავაზობთ.

მამუკა ასლანიკაშვილს

ირგვლივ ნიღბები, გაცვეთილი გრძნობების გროვა...
აზრი მწიფდება, აზრი მუდამ თავისით მოვა,
სული მარწუხებს იგერიებს, კვნესის დამფრთხალი,
რჩეული კაცის სისხლი გვიხსნის, სისხლი მართალი...
რამდენიც გინდა ნაღდზე ჰყიდის სისხლსაც, სინდისსაც,
რა ღირს, რამდენი გადვიხადოთ? მხოლოდ იკითხავ...
ყიდვა-გაყიდვის მოლოდინში აზრი კნინდება,
ეგოისტობა, უნიჭობა, ზიზღი ღვივდება...
თავს ვერ მოიკლავს, გინდ ეცადოს, ბევრი, რადგანაც,
მხრებზე ცოდვილებს საკუთარი თავი არა აქვთ.
დაბიჯებენ გაბღენძილნი, ფუყე აზრებით...
სად შეიძინეს ეს ნიღაბი, დაჯდა რამდენი?
კარგი ცოტაა, ცუდი ბევრი, სული დამფრთხალა,
რა ქნას მარწუხში მოქცეულმა აზრმა მართალმა?
სულს გადაარჩენს უცოდველი სისხლის დინება,
სინდისი მუდამ ტვირთად ზიდეს ერის შვილებმა...

* * *

ჩვენ რას გვერჩოდი,
რა მართალი სისხლი დაღვარე,
რად მიგვატოვე?
განსჯა, ფიქრი რად არ გვაცალე?
თუ სხვისი ცოდვა საკუთარი სისხლით განბანე?
ჩასახლებულმა ერის ტვირთმა შენში მსჯულად,
სულგაყიდულთა გამოსყიდვა შენს სისხლს არგუნა...
მაგრამ ვერ ვამჩნევთ ბოღმისაგან სავსე გულებით
და ვტირით შემდეგ ჩვენს დაღუპვას — განწირულებით.

* * *

ოჰ, სისხლო ჩვენო, ჩვენს თვალის წინ, სისხლო, დაღვრილო,
მამულიშვილო, გარეწართა მტრობით დაღლილო,
შენი სიცოცხლე ჩვენ იმიტომ დაგვდე ვალადა
დრო უნდა გეხსნა, თორემ ბნელი ნათელს ფარავდა...
დასაბამიდან ასე მოგვდგამს — გვწყევლის სატანა,
საკუთარ მოდგმის და სისხლხორცის გვიჭირს გატანა...

* * *

ვისაც სული აქვს, შენზე ფიქრი დარდად ქცევია,
რადგან სხეული სულს არასდროს არ გაქცევია.
არ გაგითელავს არასოდეს ღობე დაბალი —
და სხვისი ცოდვა საკუთარი სისხლით განბანე.
ფერმკრთალი არის ყველა გრძნობა რწმენასთან მდგარი,
ვერ შეიძლებდი ყოფილიყავ ზეზეულ მკვდარი...
სხვისთვის თუ ქვეყნის სიყვარული ფულით იწყება,
შენი ცხოვრების ქვაკუთხედი იყო ღირსება.

ნაზი მამარდაშვილი.

გაზეთი „ქუთაისი“.

დამოუკიდებლობის გზით

რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნისათვის“ მეტად საჭიროა ახალი დებულება, რომელიც განმტკიცებს მის დამოუკიდებლობას. ასეთი დადგენილება მიიღო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა. ჩამოყალიბდა ახალი დებულების პროექტის შემმუშავებელი კომისია.

—როგორც ცნობილია, წელს პირველი იანვრიდან ჩვენი საზოგადოება სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიდა.—ამბობს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ნუგზარ წერეთელი.—ეს ნაბიჯი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კვალდაკვალ გადავდგით. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ საშუალება მოგვცა თვითონ განვსაზღვროთ სალექციო და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულება. შემოვიღოთ ახალი წესები, თუ შემძლებლობაშიც გვინდა, რომ საკავშირო საზოგადოება „ზნანიესაგან“ დამოუკიდებლად გავუძღვეთ ჩვენს საქმიანობას, მაშინ აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ ახალი ეროვნული დებულება.

კომისია მალე დაამთავრებს მუშაობას. შემდეგ დებულების პროექტი დაეგზავნება საზოგადოების ყველა ორგანიზაციას, ჩვენს აქტივს. მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით პროექტი დამუშავდება და შემდეგ, სექტემბერში, საზოგადოების მომავალ პლენუმზე საბოლოოდ დამტკიცდება.

საზოგადოების პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ გამოსაშვები ბროშურების ბაზაზე, რომლებიც წელიწადში არანაკლებ 60 დასახელებისა გამოდის, გამოიცეს წიგნები, რომელთა მიმართ საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს. მაგალითად, ამჟამად უკვე დასაბეჭდად მზად არის გურამშარაძის, სოლონინ ხუციშვილისა და სხვა ავტორთა წიგნები.

ძირითადი დასკვნა კი ასეთი იყო: საზოგადოების საქმიანობა უნდა წარიმართოს იმ პრობლემათა გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ყველა ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციასთან, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევასთან.

(საქინფორმი)

სახალხო განათლების სამინისტროში

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო იუწყება, რომ 1990-91 სასწავლო წელი რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყება ტრადიციულად, პირველ სექტემბერს.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ყველას უნდა გვაღელვებდეს

ორბელი-ალპანის მიმართულებით მიმავალი, ან პირიქით იქედან მომავალი ქალაქ ცაგერში, ან ლენტეხის რაიონში ისე ვერ მოხვდება, თუ მურის ხიდი არ გაიარა და იმ ზვიად გასასვლელს თვალი არ შეავლო, რომელზეც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „გორმახებს თითქოს ვანგებამ დანა დაუსვა".

ამ ადგილს დახასიათება ნამდვილად არ სჭირდება, იგი ბუნების მიერ შექმნილი მილიონსაუკუნოვანი საოცრების ერთერთი ნაწილია და ამ საოცრების პირველად მნახველი სიმძაფრით აღიქვამს მის უზადო ხატებას და უხარია, რომ ეზიარა ბუნების სიმშვენიერეს. ჩემი აზრით, სწორედ ეს მომენტი არის ეკოლოგიური წონასწორობის ამოსავალი წერტილი, როდესაც ადამიანი და ბუნება ერთმანეთში გადადის, ერწყმის და ავსებს ერთმანეთს.

ცხადია, ყველა ადამიანი დიდი ვაჟას დონემდე ვერ ამაღლდება და ვერ იგრძნობს „იას და ქუჩის ტკივილს", მაგრამ ნათქვამი ხომ უნდა გაიგონოს, დაფიქრდეს, გაიაზროს, გააანალიზოს და ჩაწვდეს, ამდენს რომ წერენ და საუბრობენ, ბუნებას ნამდვილად მოვლა-პატრონობა სჭირდებაო.

დიახ! ნამდვილად ასეა, ბუნებას არა მარტო გაფრთხილება, არამედ გულში ჩახუტება სჭირდება, იმისათვის, რომ მისდამი შენი უღმერთო მოქმედებით ბუნება შენივე უარმყოფელი არ გახდეს.

მიზეზი ამ წერილის დაწერისა გარემოს დაცვის საკითხია, რომელიც რაიონისა თუ ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სერიოზულად აღელვებს. ამჯერად საუბარს მურის ხიდის ახალი ლანდშაფტის დახასიათებით დავიწყებ, რადგან იგი ქალაქის მისასვლელთან ხელოვნურად შექმნილი ანტისანიტარიის კლასიკური მაგალითია.

შექმნილი მდგომარეობის დახახასიათებლად შევეცდები ის სიტყვები გავიმეორო, რაც ამ უმსგავსობის მიმართ ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, ბუნების გულშემატკივარმა (ღმერთმა მრავალჟამიერ აცოცხლოს) მიხეილ ალექსის ძე კვირიკაშვილმა თქვა—„გული მტკივაო", მე მართლაც მჯერა, რომ მას მართლაც გული შესტკივა ჩვენი ქალაქისა და მისი შემოგარენის მოვლა-პატრონობისათვის თან დასძინა: „მის დამყრელს რა სინდისი აძლევს, ამას რომ ჩადისო, სირცხვილია, მეზობელი რაიონიდან ჩამოსული სტუმარი ქალაქის მისასვლელთან ანტისანიტარიის კერას წააწყდება, თავი მოგვეჭრებაო".

—სწორია, ბატონო მიხეილ!—ჩვენც თქვენს აზრს ვიზიარებთ, მაგრამ უაზროს, უტვინოსა და დამაქცეველს რა ვუყოთ, რომელმაც ჩვენთვის საამაყო და ისტორიული ადგილი ნაგავსაყრელ ტერიტორიად გადაგვიქცია. სიტყვა ისტორიული შემთხვევით არ გვიხსენებია, ამ ადგილზე ისტორიული ძეგლები და ადგილები მართლაც ეთნოგრაფიული მუზეუმივით არის გაწლაგებული. ეკლესია, რომლის ტერიტორიაზეც მაქსიმე აღმსარებლის საფლავს მიუთითებენ, მურის სამი ციხე, „ლაწუნდარა", დადიანების მურის საზაფხულო დასაზვენებელი ადგილი, ქალაქის წყალსადენი და სხვ.

ნუთუ ეს ცოტაა, რომ არაფერი ვთქვათ გარემოს დაცვის საკითხებზე, და ამ დროს ვიღაც შეგნებული თუ შეუგნებელი, დღისით გამვლელების თვალწინ ნაგვითა და სხვა საყოფაცხოვრებო ანარჩენებით სავსე ავტომანქანას იქვე რიყის ტერიტორიაზე ცლის, გარემოს ანაგვიანებს.

ამ ტერიტორიაზე რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებითა და მოწოდებული ორგანიზაციების ნებართვით გამოყოფილია ინერტული სამშენებლო მასალების კარიერი, რაც აუცილებელია და საჭიროა, მაგრამ ამ კარიერთან მისასვლელი გზა მიზეზი არ უნდა გახდეს გარემოს გაჭუჭყიანებისა, თუ მომავალშიც ეს ადგილი კვლავ ანტისანიტარიის კერა იქნება, მოწოდებული ორგანიზაციები იძულებული გახდებიან დასვან კარიერის სხვა ადგილზე გახსნის საკითხი, რათა გაუქმებული იქნეს კარიერის მისასვლელი გზა, რომელიც ამჟამად მიზეზობრივ კავშირშია ტერიტორიის დანაგვიანებასთან.

ამ საკითხის გამოსწორება ნამდვილად შესაძლებელია, რადგან სანიტარული წესრიგის დამრღვევთა როლში გვევლინებიან ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა: ავტოსატრანსპორტო საწარმო, კოლმშენი, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო, საგზაო სამმართველო და სხვა.

ამჯერად დამნაშავე არ შეგვიძლია დავასახელოთ, რადგან უშუალოდ ფაქტზე არავინ წაგვიხწრია, მაგრამ დაურილი ნარჩენების ხასიათი დასახელებული საწარმოებისაკენ მიგვანიშნებს, რისთვისაც ვთხოვთ ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს პერიოდულად განუმარტონ, აუხსნან ხელქვეითებს ასეთი ქმედების მავნეობის შესახებ.

გარემოს დანაგვიანების მარტო ზემოთ აღნიშნული კერა რომ გვქონდეს, როგორმე მოხერხდებოდა მისი გამოსწორება, მაგრამ რაიონის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური გზატკეცილის გასწვრივ დასახლებული პუნქტების ახლოს მოსახლეობის მიერ შექმნილია ნებადაურთველი ნაგავსაყრელები, რაც იწვევს გარემოს გაჭუჭყიანებას: აღნიშნული რომ ასეა, ადვილად დარწმუნდებით, თუ გაუმგზავრებით ორბელის მიმართულებით პირველი ანტისანიტარიის კერას იქვე ახლოს, სოფ. ჩხუტელის გზაბოძალთან იხილავთ, სადაც განუსაზღვრელი რაოდენობით ყრია საყოფაცხოვრებო ნარჩენები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ამ ადგილიდან ორ კილომეტრში ამავე სოფლის უღელტეხილის დასაწყისთან ანტისანიტარიის მეორე კერას წააწყდებით.

კაცმა რომ თქვას, ჩხუტელელებზე ნაკლები ორბელელი რით არის, ჰოდა, მათაც სოფლის დასაწყისში გზის პირი ნაგავსაყრელად გახადეს, დანაგვიანების ასეთივე ადგილებს ვხვდებით თვით დაბა ორბელის დასახლების ქუჩის პირებზე და შდინარე ლაჯანურის მარჯვენა სანაპიროზე.

ვერც ლაჯანის მოსახლეობა დაიკვეხნის უკეთესები-ვართო. იქვე სკოლა-ინტერნატის ახლოს გზის პირი სანაგვედ არის ქცეული და ასე მიყოლებით ბრილიანტის ყელსაბამივით ერთმანეთსაა გადაბმული სამარცხვინო დანაგვიანების კერები ალპანის, ტვიშის, ოყურეშის, წიფერჩის, ჭალისთავის, ქვ. ცაგერის და სხვა სოფლების ცენტრებისა.

გატანილი ნაგავი ნაგავს ემატება, გამოსწორების გზა კი არსად ჩანს, ეჭვს გარეშეა მოსახლეობის უმრავლესობას გული შესტკივა შექნილ სიტუაციაზე, მაგრამ მარტო გულშემატკივრობა საქმეს არ შველის, აუცილებელია მოსახლეობის აქტიური პოზიცია.

საჭიროა წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებმა, მოსახლეობამ გაითვალისწინონ ეკოლოგიურ სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და იზრუნონ ქალაქად თუ სოფლად სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვისათვის.

ჯ. ყვირილიანი,

ცაგერის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ცაგერის რაიონულ სტამბას ესაჭიროება მბეჭდავ-მემანქანე (მამაკაცი). საშუალო განათლებით.

მსურველებს დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ რაიონული სტამბის დირექციას: ქ. ცაგერი. ლენინის ქუჩა №56.

რაიონული სტამბის დირექცია.

ვ. ლ. საღინაძე



გარდაიცვალა დიდი სამამულო ომისა და შრომის, პარტიის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი ვასილ ლავრენტის ძე საღინაძე.

დაიბადა 1903 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ ქვედა ლუხვანოში. დაამთავრა სოფელ ცაგერის 4-კლასიანი სასწავლებელი.

1921-1930 წლებში მუშაობდა სოფელ ქვედა ლუხვანოში საკუთარ მეურნეობაში მიწათმოქმედად, 1930-1942 წლებში—ქვედა ლუხვანოს კოლმეურნეობის ბრიგადირად.

1942 წელს ვ. საღინაძე გაიწვიეს დიდ სამამულო ომში.

იგი მამაცურად იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მისი მონაწილეობით გათავისუფლებული იქნა რამდენიმე ქალაქი და დასახლებული პუნქტი. მამაცური ბრძოლისათვის არაერთხელ მიიღო ხელმძღვანელთა მადლობა და ჯილდო.

1945 წელს დაბრუნდა ომიდან და მუშაობას აგრძელებს ისევ ლუხვანოს კოლმეურნეობაში.

1946 წელს ირჩევენ ქვედა ლუხვანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა 1959 წლამდე. 1961-1968 წლებში იგი ლუხვანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

იგი იყო პრინციპული, მოთხოვნი როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისადმი.

1969 წლიდან ვ. საღინაძე პენსიაზეა. ცხოვრობდა სოფელ ჭალისთავში, მუშაობდა ცაგერის კოლმეურნეობაში.

ვასილ ლავრენტის ძე საღინაძეს რაიონის საზოგადოებრიობა იცნობდა როგორც საქმის ერთგულ, პრინციპულ მუშაკს, კარგ პიროვნებას.

მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

შრომისმოყვარე, უანგარო, სპეტაკი კომუნისტის ვ. საღინაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომი იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი

ვასილ ლავრენტის ძე საღინაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გიგლა თვარაძე, დედა მარო, შვილები რობერტი, ალეკო, შვილიშვილი გვანცა, და თამარა, ძმები ავთანდილი, გურამი, რძლები დალი, ნთელა, ლოლა, მული შურა, მაზლები პავლე, ოთარ თვარაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

მარგალიტა ალექსანდრეს ასული ნემსიწვერიძე-თვარაძე

დაკრძალვა 28 ივლისს, შაბათს სოფ. ლაილაშში.

ალიოშა ბრეგვაძე, პიმენ მურცხვალაძე, ამირან მოწონელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

რეზო დავითის ძე ახვლედიანი

ქორა ხეცურიანი, ციალა დოლბაია, ბიჭიკო მურცხვალაძე, ტარიელ, ბიჭიკო გუგავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო დავითის ძე ახვლედიანი

გულიკო ახვლედიანი, გელა ყურაშვილი, ზაირა სილაგაძე, ნელი ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ რუსუდან ახვლედიანს ძმის

რეზო ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ქორა საღინაძე, ბოგდან ჭელიძე, დავით ზურაბიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ ლავრენტის ძე საღინაძე

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3/
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-22,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66639, შეკვეთა №: ტირაჟი 4000
საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,